მედია და ქალები „ქალის“ წინააღმდეგ

ნანა აკობიძე

საკვანძო სიტყვები: *გენდერი, ახალი მედია, სტერეოტიპები, Me too, გაერო, ნიუ-იორკ ტაიმსი, სექსიზმი, სიძულვილის ენა, დისკრიმინაცია, გენდერმგრძნობიარობა, ოპრას ეფექტი*

მსოფლიოში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერება მკვეთრად მაღლდება. ახალმა მედიამ, სხვანაირად - სუპერ მედიამ[1] ამაში დიდი როლი ითამაშა.

საქართველოში ბოლო პერიოდში გენდერული თანასწორობის მიმართ გაზრდილი მგრძნობელობის ხარისხი და მასშტაბი, ტრადიციადქცეული სტერეოტიპების ფონზე, საკმაოდ შთამბეჭდავია.

გენდერული ურთიერთობებისადმი საზოგადოების აღქმისა და დამოკიდებულების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებენ ამ ხარისხსა და მასშტაბს, თუმცა ასევე ავლენენ საქართველოში ქალების მიმართ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს:

- ქალებს მეტი დაბრკოლების გადალახვა უწევთ კარიერაში, ვიდრე კაცებს; საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი თვლის, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული კარიერა;
- კაცების ¾ ამბობს, რომ მათთვის მისაღები იქნებოდა, მათი უფროსი ქალი ყოფილიყო;
- საქართველოს მოსახლეობის 39 პროცენტი ფიქრობს, რომ კაცები ქალებზე უკეთესი ბიზნეს ლიდერები არიან.[2] (სურ. 1)

კვლევის მიხედვით, საქართველოში ქალების 63 და კაცების 54 პროცენტის აზრით, საქართველომ ჯერ (2020) ვერ მიაღწია გენდერულ თანასწორობას.[3] ეს 9-პროცენტიანი სხვაობა მიუთითებს, რომ ქალების რაოდენობა, რომლებიც არ ეთანხმებიან არსებულ ნორმატიულ სტერეოტიპებს, დინამიკურად მზარდია და უპირატესად სცდება კაცთა მხრიდან გენდერული თანასწორობის აღქმასა და დამოკიდებულებას. სათაურში ნაგულისხმები ბრძოლა „ქალის“ წინააღმდეგ სწორედ იმ სტერეოტიპებთან ბრძოლას გულისხმობს, რომელიც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მყარად მიუსადაგეს ქალს, მისი ხასიათის, როლისა და შესაძლებლობების მიხედვით, განსაკუთრებით, პატრიარქალურ სივრცეებში.

ახალი მედიების პირობებში ბრძოლამ ამ სტერეოტიპების წინააღმდეგ არნახულ მასშტაბს მიაღწია და ბრძოლის სათავეებთან დადგნენ თვითონ ქალები, ყველა შესაძლო რესურსის გამოყენებით. სხვანაირად, ესაა ქალების ბრძოლა სუპერკულტურების ეპოქაში - სუპერრესურსების გამოყენებით. ამ სუპერრესურსს, პირობითად, ახალ მედიას ვუწოდებთ; თუმცა, სინათლის სისწრაფით განვითარებად ინტერნეტტექნოლოგიების სამყაროში უკვე შეუძლებელია, რომ იმან, რაც დილით შეიქმნა, დღის ბოლომდე შეინარჩუნოს სიახლე. „არაფერია ახალი მზის ქვეშ“ - როგორც არასდროს, ისე მიესადაგება ასეთ რიტმს ეს ბიბლიური სენტენცია,[4] რომელსაც დღეს უკვე დატვიტავდა ან ფეისბუკის საკუთარ „კედელზე“ დაწერდა ეკლესიასტე.

ქალების ყველაზე გაბედული პროტესტი, უახლეს წარსულში, რომელმაც ტალღასავით გადაურბინა მთელ მსოფლიოს, იყო მოძრაობა Me too (მეც) და ის დაიწყო არა ჰოლივუდიდან, როგორც ბევრი მიიჩნევს, არამედ - მედიიდან. 2017 წლის 5 ოქტომბერს გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“ ჰოლივუდის გავლენიან პროდიუსერ ჰარვი უაინსტაინის მხრიდან, არა ერთ

1 რილი მ. ტერმინი „სუპერ მედია“ გამოიყენა 1989 წელს.
2 გაეროს კვლევის ანგარიში, 2020, გვ. 5.
3 იქვე.
4 ახალი აღთქმა, თავი 1. 9.

ცნობილ მსახიობზე, სექსუალური ძალადობის ფაქტები გაახმაურა. (სურ.2) პუბლიკაციას დიდი რეზონანსი მოჰყვა და მალე კამპანია Me too ჯერ ამერიკელთა, შემდეგ კი მსოფლიოს ქალთა მოძრაობად გადაიქცა. ამ მოძრაობის ექო იყო ქალთა მარში, 2017 წლის 21 იანვარს, ვაშინგტონის მონუმენტთან. „ქალთა მარშმა მსოფლიოს გადაუარა" - ამ სათაურით „ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებული ინფორმაცია რედაქციამ წლის „გარდამტეხი მომენტების" ჩამონათვალში შეიტანა.

„მილიონობით ადამიანი მსოფლიოში, იაპონიიდან ზიმბაბვემდე, დონალდ ტრამპის ფიცის მეორე დღეს, გარეთ გამოვიდა, რომ მიეღო მონაწილეობა აქციაში, რომელსაც „ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტმა „ანტიინაუგურაცია" უწოდა. მარშის მონაწილეები იმედოვნებდნენ, რომ ამერიკის ქალი პრეზიდენტის არჩევას იდღესასწაულებდნენ, მაგრამ ამის ნაცვლად მათ გარემოს დაცვისა და იმიგრაციის რეფორმების შესახებ თავიანთი პროტესტი გამოთქვეს. ვარდისფერი ქუდი მარშის სიმბოლო გახდა".[5]

ამ, ერთი შეხედვით ჰიპერბოლიზებული, სათაურით და ფაქტისთვის „გარდამტეხი მომენტის" სახელის მინიჭებით, „ნიუ იორკ ტაიმსმა" ღიად გამოხატა მხარდაჭერა ქალთა მოძრაობის მიმართ. ბოლოსწინა აბზაცში იკითხება გზავნილი, რომ ქალები კონსოლიდირებულ ენერგიას (და იმედს) მაინც არ კარგავენ და გლობალური პრობლემებისკენ მიმართავენ.

რაც შეეხება მოძრაობას Me too („მეც") - მან დიდ პროგრესს მიაღწია: „2 წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრმა გავლენიანმა ადამიანმა პოზიციები დაკარგა, შეიცვალა და იცვლება სამუშაო ადგილებზე ურთიერთობების კულტურაც".[6]

კელი დიტმარი, ორგანიზაცია „ამერიკელი ქალები პოლიტიკაში": „მოძრაობამ „მეც" ირგვლივ ისეთი გარემო ჩამოაყალიბა, სადაც ძალაუნებურად ისმის კითხვა ძალაუფლებასა და თითქმის ყველა სხვა სფეროში არსებულ გენდერულ დისბალანსზე. უფრო აკვირდები და ამჩნევ, რომ მაღალ პოზიციებზე ამა თუ იმ მაგიდასთან ქალები არ სხედან და მთავარ გადაწყვეტილებებს არ იღებენ".[7]

დევია თემენი, ორგანიზაცია „რეპუტაცია, კრიზისი და კულტურა: „კორპორაციების მმართველი საბჭოები ამ საკითხს თანდათან უფრო დიდ პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ისინი მეტ ქალს ასაქმებენ. ამასთან, ერიდებიან რეპუტაციის შელახვას. საბოლოოდ კი, ვიღებთ ახალ, მრავალფეროვან საბჭოებს. შედეგად, ამ მრავალფეროვნებას სწორი გადაწყვეტილებები და რისკების შემცირება მოაქვს. რაღაც მომენტში, წერტილი უნდა დასვა და თქვა: საკმარისია! მგონი, ამ ნიშნულს ვუახლოვდებით".[8]

ამ „ნიშნულზე" აშშ-ის ქალთა მოძრაობის Me too დაწყებიდან 3 წლის შემდეგ მივიდა, როცა 2020 წლის 19 იანვარს, კაპიტოლიუმის შენობისა და მილიონობით ადამიანის თვალწინ პირველმა ქალმა, პირველმა შავკანიანმა და ასევე, პირველმა აზიურ-ამერიკული წარმომავლობის ვიცე პრეზიდენტმა, კამალა ჰარისმა საზეიმოდ დადო ფიცი. (სურ. 3)

ინჟინერ-პროგრამისტი სიუზან ფაულერი, როცა უმსხვილეს კორპორაცია „უბერში", მის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციას ებრძოდა, მაშინ, ალბათ ვერ იფიქრებდა, რომ მალე „ნიუ იორკ ტაიმსის" ტექნოლოგიური მოსაზრებების რედაქტორი (Op-ED) გახდებოდა და წარსულ გამოცდილებაზე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მედიიდან ისაუბრებდა.

„სამსახურში სიტყვიერ შეტევებს იმდენად შევეჩვიე, რომ მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან საუბრის დროსაც თავდაცვით პოზიციაში ვიყავი [...] ყოველ დილით, სარკეში ყურებისას, გამწარებულ ახალგაზრდა ქალს ვხედავდი: გაბრაზებულს, თავდაცვით პოზიციაში მყოფს და შეშინებულს", - წერს თავის ესეიში,[9] გენდერული ნიშნით შევიწროებული, სიუზან ფაულერი. 21-ე საუკუნემ, განსაკუთრებით მწვავედ, ტექნოლოგიური კომპანიების წინაშე დააყენა ეს გამოწვევა. „ჩემი მისვლისას (1995) „უბერში" თანამშრომლების 25 პროცენტი იყო ქალი, ჩემი წამოსვლის

5 ვინთერი, ნიუ იორკ ტაიმსი, 21 იანვარი, 2017.
6 რადიო „ამერიკის ხმა", რა შეიცვალა, 15.10.2018.
7 იქვე.
8 იქვე.
9 ფაულერი, დიდი იდეები, 2020.

დროისთვის (1997) კი - მხოლოდ 6 პროცენტი".[10]

სიუზან ფაულერმა პერსონალური ბრძოლა „უბერის" დამფუძნებელ და აღმასრულებელ დირექტორ ტრევის კალანიკის გადადგომით დაასრულა. კომპანიამ საზოგადოებასა და ინვესტორებს საჯარო პირობა მისცა, რომ მომდევნო 120 დღის განმავლობაში ისე გაუმჯობესებდნენ კომპანიის მართვას, როგორც - არასოდეს.[11]

„ყველა სტანდარტი, რომელსაც ვიცავ, ჩემი შექმნილია და მთლიანად ჩემს კონტროლსაა დაქვემდებარებული. ჩემი თვითშეფასება სხვებზე არაა დამოკიდებული. დღეს, ქვეყანაც რომ დაიქცეს, ჩემს განცდას იმაზე, თუ ვინ ვარ მე და ჩემს ადგილს ამ სამყაროში არაფერი დაემუქრება", - ასე მთავრდება სიუზანი ფაულერის ესეი ძალაუფლების შესახებ.[12] მანამდე ფაულერი განათლების მიღებისთვის იბრძოდა. მისი ამბავი შთამაგონებელია ყველა გოგონასთვის, რომლებსაც ბავშვობისა და მოზარდობის წლების გატარება რთულ და განათლებისთვის არახელმისაწვდომ პირობებში უწევთ. (სურ. 4)

„რა არის ძალაუფლება? ამაზე პირველად მაშინ დავფიქრდი, როცა 14-15 წლის მოზარდი ვიყავი და არიზონაში სოფლად ვცხოვრობდი. მანამდე, რამდენიმე წლის განმავლობაში, დედაჩემი შინ მაძლევდა განათლებას. ღარიბი, გაუნათლებელი და იმედგაცრუებული, ვოცნებობდი, თუ რას გავაკეთებდი, ძალაუფლება რომ მქონოდა, სამყაროს შეცვლა და ფორმირება ჩემი ბრძანებით რომ ყოფილიყო შესაძლებელი. როდესაც მომავალზე ვოცნებობდი, ჩემი ოცნება განათლების მიღება იყო. ყველაზე გიჟურ ფანტაზიებში იელის, ჰარვარდის ან ოქსფორდის სტუდენტი ვიყავი. ოცნებებში სიღარიბეში აღარ ვცხოვრობდი და ძიძად მუშაობა არ მჭირდებოდა. როდესაც კოლეჯში ჩაბარება გადავწყვიტე, მძიმე ბრძოლა მომიხდა, რომ ხალხს სერიოზულად აღვექვი. ვიცოდი, რომ სულელურად გამოვიყურებოდი ჩემი „სიუზან ფაულერის საშინაო სკოლის" ნიშნების ფურცლით, რომელშიც ყოველივე იმის ჩამონათვალი იყო, რაც თავად წავიკითხე და ვისწავლე. [...] როგორც იქნა, სერიოზულად აღმიქვეს: არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმიღეს და 18 წლის ასაკში ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. არიზონას შტატში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დავინტერესდი, მაგრამ იმის გამო, რომ საშუალო სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების საფუძველი არ მქონდა, მათემატიკისა და ფიზიკის შესავალი კურსების გავლის უფლება არ მომცეს. ამიტომ პენსილვანიის უნივერსიტეტში გადავედი. იქაც კი, ფიზიკის მიმართ ჩემი ინტერესი სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა და რექტორამდე ბრძოლით უნდა გამეკვლია გზა, სანამ ნებას მომცემდნენ, შემესწავლა, რაც მინდოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრე [...] (...უკვე) ვიცი, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელიც დღეს მაქვს, მრავალი წლის საგულდაგულო, გაცნობიერებული მუშაობის შედეგია: საკუთარ თავზე, ჩემი არსების ყველაზე სიღრმისეულ ნაწილზე – საკუთარ ხასიათზე მუშაობის შედეგი".[13] (სურ. 5)

ქართული მედიის გენდერმგრძნობიარობის გასარკვევად, შევისწავლეთ მედიისთვის შექმნილ ონლაინპლატფორმა mediachecker.ge-ზე თავმოყრილი, გენდერული სტერეოტიპებისა და სექსიზმის შემცველი საილუსტრაციო მასალა.

„ქართულ ტელემედიაში, განსაკუთრებით, გასართობ შოუებში გენდერული სტერეოტიპები (სახეობათა მრავალფეროვნებით) კვლავაც უხვად გვხვდება. ხანდახან ისეც ხდება, უკვე დავიწყებული და დაძლეული რომ გგონია, იმგვარი სტერეოტიპებით სავსე გადაცემა გადის წამყვანი ტელეარხის ეთერში".[14]

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიზანი საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპების წარმოჩენა და მათი დისკრიმინაციული ხასიათის ჩვენებაა, როცა გადაცემის წამყვანი/ჟურნალისტი გაჟღერებულ სტერეოტიპებს არ ეწინააღმდეგება, მიზანი მიუღწეველი რჩება, სტერეოტიპები - კიდევ ერთხელ გახმოვანებუ-

10 Fowler, Reflecting On One Very, 2017-https://www.susanjfowler.com/blog/2017/2/19/reflecting-on-one-very-strange-year-at-uber

11 ისააკ, „ნიუ იორკ ტაიმსი" NYT, 21 ივნისი, 2017.

12 ფაულერი, დიდი იდეები, 2020

13 ფაულერი ს. „დიდი იდეები".

14 mediachecker.ge, 26.02.2015
https://www.mediachecker.ge/ka/blogi/article/49586-sardzloebi-da-sadedamthiloebi-nanukas-shoushi

ლი, მაუწყებელთა კოდექსის 33-ე მუხლი კი - დარღვეული. როგორც შესწავლილი მასალებიდან ჩანს, ასე არც თუ იშვიათად ხდება (მათ შორის - ქალი ჟურნალისტების მხრიდან).

რაც შეეხება სექსისტურ სტერეოტიპებს: ქალის არასრულფასოვნების იდეა, სქესის ნიშნით, ასევე არც თუ იშვიათად „გაიპარება" ხოლმე ქართულ მედიაში.

შევადარეთ, თითქმის ერთნაირი ხასიათის ორი მოვლენა (ლოკალური და გლობალური) როგორ გააშუქა საინფორმაციო სააგენტო „ჯორჯიან ბიზნეს კონსალთინგმა (GBC)" და „ნიუ იორკ ტაიმსმა". „MAN-ის ავტობუსების საჭეს ქალებსაც ანდობენ" - ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას „ჯორჯიან ბიზნეს კონსალთინგი" (10.04.2019). გამოცემა „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში" მძღოლის პოზიციაზე ქალთა დასაქმების შესახებ წერს და აღნიშნავს, რომ „იზრდება ავტობუსების მძღოლი ქალების რაოდენობა და შესაბამისი სასწავლო კურსი 25-მა ქალმა გაიარა".

„საუდის არაბეთში ქალები საჭეს მიუსხდებიან",[15] – აანონსებს „ნიუ იორკ ტაიმსი" - 2017 წლის „გარდამტეხ მომენტებში", 17 სხვა მნიშვნელოვან მოვლენას შორის, რომელიც იმ წელს მოხდა.

„მეფის ბრძანებით, საუდის არაბეთში ქალებს მანქანის მართვის უფლება მიენიჭათ. აღნიშნული კანონი უფრო მეტ ქალს აძლევს მუშაობის საშუალებას. ამავე დროს, ქალებს შეუძლიათ, მოაგვარონ ფინანსური და სამართლებრივი სირთულეები, რადგან მძღოლის დაქირავება არ მოუხდებათ. ქალებისთვის მართვის უფლების მინიჭება ტახტის მემკვიდრე პრინცის გეგმის ერთ-ერთი ნაწილია, მისი გეგმა ქვეყნად ეკონომიკის განვითარებას ისახავს მიზნად. სამეფოში ქალები მართვის მოწმობის აღებას 2018 წლის ივნისიდან შეძლებენ".[16]

პირველ (ქართულ) მაგალითში სქესის აღნიშვნა არავითარ დამატებით ინფორმაციას არ აძლევს აუდიტორიას. გასაგებია, რომ მეორე (ამერიკულ) მაგალითში ისტორიული კონტექსტია განსაკუთრებით საინტერესო, მაგრამ აქ საყურადღებოა, რომ მცირე ინფორმაციაში მთელი რიგი გარემოებებია ჩამოთვლილი, თუ, ასევე, რატომ შეიძლება იყოს ეს მოვლენა მნიშვნელოვანი. აქვე „ნიუ იორკ ტაიმსი" არ ერიდება სუბიექტური პოზიციის გამოხატვას, რუბრიკით: „IOOKING FORWARD" (მოუთმენლად ველოდებით), რაც, ამ შემთხვევაში, ქალისა და მამაკაცის თანაბრად სრულფასოვნების იდეისთვის მებრძოლი მედიის პოზიციაა.

თანამედროვე სოციალური მედია დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ვინაიდან დღეს დისკუსია, ძირითადად, სოციალურ მედიაში მიმდინარეობს, მედიაენაც იცვლება და ახალ საკომუნიკაციო ნიშან-სიმბოლოებთან ერთად, გამოხატვის უფლების სახელით, სიძულვილის ენაც იმკვიდრებს თავს.

UNDP-ის ხელმძღვანელი ლუიზა ვინტონი: „ბოლო დროს ამ მოვლენამ ტრადიციული მედიიდან სოციალურ ქსელებში გადაინაცვლა. ქართველი ქალები ხშირად აწყდებიან დამამცირებელ რიტორიკას, სექსისტურ შეურაცხყოფასა და აშკარა მუქარასაც კი. გაეროს განვითარების პროგრამა, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, ხელს უწყობს ეფექტიანი ხელსაწყოს შექმნას ამ შემაშფოთებელ ტენდენციასთან საბრძოლველად".[17] (სურ. 6)

UNDP-ის ხელშეწყობით, კავშირმა „საფარი" შეიმუშავა ინდიკატორები გენდერულად შეურაცხმყოფელი გამონათქვამების კლასიფიცირებისა და შესაბამისი დარღვევების გამოსავლენად. ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედიის განვითარების ფონდი" (MDF), 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, სოციალური მედიის მონიტორინგი ჩაატარა და ქალ პოლიტიკოსების წინააღმდეგ მიმართული შეურაცხმყოფელი, სექსისტური და დისკრიმინაციული ენის გამოყენების 200-ამდე შემთხვევა გამოავლინა. მათ შორისაა, სექსისტური შეურაცხყოფა, ასაკის ან გარეგნობის მიხედვით შეურაცხყოფა და სექსუალური ძალადობით მუქარა.[18]

15 იხ.: ტისაკი, 17 მოვლენა, 2017.

16 იქვე, ტისაკი.

17 გაეროს განვითარების პროგრამა, სიტყვას ძალა აქვს, 2020, https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2020/gender-sensitive-language.html

18 ურჩუხიშვილი, სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები, თბ., 2020. https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/indicators-of-sexist-hate-speech.-Sapari.Final_.pdf

ქართველი ჟურნალისტები, მედიამფლობელები ან მედიაში მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული ადამიანები სოციალურ ქსელებში ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას, რაც უარყოფითად აისახება იმ კონკრეტული მედიასაშუალების სანდოობისა და რეპუტაციის ხარისხზე, რომელთანაც არიან აფილირებულნი. ამ ენის გამოყენება, განსაკუთრებით, ქალების მხრიდან, აკნინებს „ქალის" წინააღმდეგ ქალების ბრძოლის იდეას. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა, გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა, გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა, გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა, სექსიზმი/მიზოგინია, ეიჯიზმი - სიძულვილის ენის ის ინდიკატორებია, რომლებიც ონლაინ სივრცეში კიბერ დანაშაულშიც კი შეიძლება გადაიზარდოს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, XXI საუკუნეს ქალების საუკუნეს უწოდებენ. ეს ქალების ბრძოლის შედეგია, მათ შორის - მედიიდან და მედიის მხარდაჭერით. ქალების, რომლებმაც იბრძოლეს და იბრძვიან სამყაროში უკეთესი ცვლილებებისთვის, პრინციპით: „ყველაფერი, რასაც წარმოიდგენ, შეგიძლია შექმნა" (ოპრა უინფრის ცნობილი ფრაზა). „ოპრას ეფექტიც" ესაა, რაც ყველა ქალმა შეიძლება, მოიხდინოს და მოახდინოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვინტერი დ., ქალთა მარშმა მსოფლიოს გადაუარა, „ნიუ იორკ ტაიმსი", 17.01.2017
- სარძლოები და სადედამთილოები „ნანუკას შოუში", თემა: სექსიზმი, მედიაკრიტიკისა და ანალიზის პლატფორმა mediachecker.ge, 26.02.2015 https://www.mediachecker.ge/ka/blogi/article/49586-sardzloebi-da-sadedamthiloebi-nanukas-shoushi
- რაკშიტი დ., ლევტოვი რ., კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება, გაეროს კვლევის ანგარიში, მომზადებულია იაგო კაჭკაჭიშვილის ტექნიკურ ანგარიშზე დაყრდნობით; თბ., 2020, გვ. 5.
- https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/gender-survey-report.html
- რილი მ., სუპერ მედია: კულტურული კვლევები. ნიუბერი პარკი, კალიფორნია: Sage Publications., 1989.
- ტრისია ტისაკი ტ., 17 მოვლენა, „ნიუ იორკ ტაიმსის" სპეციალური გამოცემა - ტურნინგ პოინტს - ლიცენზიის მფლობელი და გამომცემელი საქართველოში „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ები", 2018.
- ურჩუხიშვილი გ., სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიშში, საფარი, თბ., 2020.
- https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/indicators-of-sexist-hate-speech.-Sapari.Final_.pdf
- ფაულერი ს., სამყაროს შეცვლამდე საკუთარი თავის შეცვლამ მომიწია, ესსე, „ნიუ იორკ ტაიმსის" სპეციალური ჩანართი „დიდი იდეები". ლიცენზიის მფლობელი და გამომცემელი საქართველოში „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ები", 2020.
- ფაულერი ს., ბლოგი.
- https://www.susanjfowler.com/blog/2017/2/19/reflecting-on-one-very-strange-year-at-uber
- ქვარცხავა მ., „მოძრაობა „მეც" - რა შეიცვალა 2 წელიწადში", რადიო „ამერიკის ხმა", 15.10.2018.
- https://www.amerikiskhma.com/a/me-too-anniversary/5133308.html
- Isaac, Mike, Uber Founder Travis Kalanick Resigns as C.E.O. June 21, 2017.
- https://www.nytimes.com/2017/06/21/technology/uber-ceo-travis-kalanick.html
- Kantor, Jodi and Megan Twohey, Harvey Weinstein Paid Off Sexual Harassment Accusers for Decades, New York Times, 05.10.2017.
- https://www.nytimes.com/2017/10/05/us/harvey-weinstein-harassment-allegations.html

1. კვლევის ანგარიშის „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“ ყდის ფოტო
REPORT ON UNO STUDY “MEN, WOMEN AND GENDER RELATIONS IN GEORGIA: SOCIAL AWARENESS AND ATTITUDE – COVER’S ILLUSTRATION

2. ჰარვი უაინსტაინი, სააგენტო ფრანს-პრესის ფოტო
HARVEY WEINSTEIN, PHOTO: BY AGENCE FRANCE-PRESSE

3. კამალა ჰარისი ფიცის დადებისას. ვაშინგტონი, 19 იანვარი, 2020, ალექს ვონგის ფოტო.
KAMALA HARIIS, PHOTO: BY ALEX VONG

4. სიუზან ფაულერი, ნიუ იორკ ტაიმსის ფოტო
SUSAN FAWLER, PHOTO BY THE NEW YORK TIMES

6. გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში ლუიზა ვინტონი, დარო სულაკაურის ფოტო
UNDP HEAD LOUISA VINTON – PHOTO BY DARO SULAKAURI

5. სიუზან ფაულერის ესსეს ილუსტრაცია, ნიუ იორკ ტაიმსის ფოტო
SUSAN FAWLER'S ESSAY'S ILLUSTRATION – BY THE NEW YORK TIMES

MEDIA AND WOMEN AGAINST "WOMEN"

Nana Akobidze

Keywords: *women, gender, new media, stereotypes, Me too, UNDP, New York Times, sexism, abusive language, discrimination, social media, gender sensitivity, Oprah Effect*
Illustrations: *pp. 438-439*

In the world, particularly during the recent decade, social awareness on gender equality has considerably increased. The role of the new media, in other words super-media[1], is decisive. Meanwhile in Georgia, the intensity and scale of the increased awareness on gender equality, against the background of traditional stereotypes, is rather impressive.

The result of the study on the perception and attitude of society towards gender relations demonstrates said intensity and scale, though also revealing existing stereotyped attitude towards women in Georgia.

Women would encounter much more barriers in their career than men; 48% of the population of Georgia thinks that women's key duty is to take care of the family and not of professional careers;

In Georgia, ¾ of men state that they do not welcome to have a female boss at work;

39% of the population of Georgia consider men to be better business leaders than women.[2] (fig. 1)

According to study results, in Georgia, 63% of women and 54% of men think that Georgia (2020) has not reached gender equality yet;[3] this 9% difference indicates that the number of women who disagree with the existing unfair stereotypes is dynamically growing and is much stronger than the perception of gender inequality and subsequent relation among men. The fight against "women" in the title, envisages precisely this kind of fight against these very stereotypes that have long been ascribed to a woman, due to her character, role and abilities, particularly in patriarchal spheres.

Under new media conditions, the fight against these stereotypes has reached an unprecedented scale and the women, resorting to all available means, have headed this fight. In other words, this is the fight in the epoch of super-culture—using super culture. We could call this super resource, new media, though in this rapidly changing world of new internet technologies it is highly possible that something that was created in the morning would fail to preserve its novelty. "There is nothing new under the sun," this Biblical maxim perfectly fits this pace that would have been twitted or placed on its Facebook wall by Ecclesiastes.[4]

The most courageous protest of women in recent years that spread throughout the world, was the movement Me Too and the initiator was not Hollywood, as many have thought, but Media. On October 5, 2017, New York Times revealed many facts of sexual abuse against many famous actresses by the influential Hollywood producer, Harvey Weinstein. (fig. 2)

The publication triggered a great resonance and soon the campaign Me too first turned into all American, but later into world-wide one.

The echo of this movement was the march of women on January 21, 2017 near Washington Monument. Information published in the article Women's March Swept the World was included in the list of turning points moments by the editorial staff. Millions of people in the world, from Japan to Zimbabwe, on the next day of taking the oath by Donald Tramp, took to the streets to participate in the march called "Anti-inauguration" by New York Times journalist. The participants of the march hoped that they would celebrate the election of a woman president of America, but instead of that they expressed their protest against environment protection and emigra-

1 the first to use the term super-media was professor Michael Reel (1989).
2 Report on UNO study "Men, Women and Gender relations in Georgia: social awareness and attitude"-2020, Tbilisi, p. 5.
3 Ibid.
4 New Testament, Ch. 1. 9.

tion reforms. Pink hat became the symbol of the march.[5]

With this seemingly hyperbolic title, and by calling it a "turning point," New York Times openly expressed its support to women's movement. In the second to the last paragraph is the main message of the article that the women do not lose consolidated energy (and hope) and direct them towards the global problems.

As for the monument Me Too, it achieved a great progress. "Much has changed during two years, many influential persons lost their positions, has changed and is still changing the culture of relationship at the working places as well".[6]

Kelly Ditmar, American Women in Politics: "The movement Me Too created such an environment which naturally poses the question on the existing gender misbalance in the government and in almost all other spheres too. One looks attentively and sees that there are no women at high positions and consequently they do not participate in the decision-making processes".[7]

Devia Taman, Reputation, Crises and Culture: Gradually the executive boards of corporations display more responsibility towards this issue. They employ more women. What is more, they are afraid of harming their reputation. As a result, we receive new, different types of boards and this kind of diversity brings correct decisions and lessening of risks. At some point we should stop and declare: It's enough! We think we are reaching that benchmark".[8]

American women's movement Me too reached this "benchmark" exactly after 3 years from its start, when on January 19, 2020, before the Capitol building and millions of people, Kamala Harris, who is the first woman, the first woman with black skin, the first American of Asian origin, took the oath of office as the vice-president of the USA. (fig. 3)

When software engineer Susan Fowler was fighting against the giant corporation Uber for the discrimination against her, she could not have imagined that soon she would become the op-ed of New York Times and she would talk about her past experience from the rostrum of one of the most influential media in the world. "I was so used to being told that what was happening to me wasn't real that I became deeply afraid that nobody would believe anything I said... Every morning when I looked in the mirror, I saw a bitter young woman: angry, defensive and afraid", writes Suzan in her essay[9] who has personally experienced existing from the 90th tendency of discrimination of different types in big corporations, be it against minorities or women. The 21st century posed this problem particularly acutely before big technological corporation. "To the time of my joining Uber (1995), 25% of personnel were women, and by the time of my leaving (1997) only 6%".[10] According to Susan Fowler statistics, such was the growing dynamic of gender discrimination in the largest corporation of the world.

The result of Susan's personal fight was the resignation of the founder and executive director Travis Kalanick. The company made a solemn promise before the society and investors that during the following 120 days it would dramatically improve the management of the company.[11]

In her blog she talks in detail about the years in Uber and the atmosphere of harassment and discrimination she had experienced there and calls for numerous women to speak up.

"Every standard that I hold myself to is a standard of my own making, one that is fully under my control. My self-worth doesn't depend on anyone else. Even if the world were to fall apart today, my sense of who I am and my place in this world wouldn't be destroyed," with these words Susan finishes her essay about the authority.[12]

Before that Susan was fighting for the right to receive the education. Her story is inspirational for every girl, who has to spend her childhood and adolescence

5 Auth. D. Winter, January, 21, 2017.
6 Auth. M. Kvartskhava, radio Voice of America", 15.10.2018.
7 Ibid.
8 Ibid.
9 Essay is included in the license project "The Big Ideas" of NYT. License holder and publisher in Georgia, "Publishing House Sakhe(I)ebi", 2020.
10 https://www.susanjfowler.com/blog/2017/2/19/reflecting-on-one-very-strange-year-at-uber
11 Mike Isaak, NYT, June 21, 2017.
12 S. Fowler. Essay is included in the license project The Big Ideas

in hard conditions that make the education inaccessible. (fig. 4)

"I only think about power when I don't have it. The first time I gave it any thought I was in my mid-teens, around 14 or 15, and living in rural Arizona. Until a couple of years before, I had been home-schooled by my mother. Poor, uneducated and frustrated, I daydreamed about what I would do if I had power, if the world could be bent and shaped at my command.

When I dreamed of the future, I dreamed of getting an education. In my wildest fantasies, I was a student at Yale or Harvard or Oxford. I dreamed that I no longer lived in poverty and didn't have to work as a nanny.

When I decided to apply to college, I had to fight hard for people to take me seriously. I knew I looked silly with my Susan Fowler's Home School transcript, in which I listed all the things I had read and learned on my own. But I didn't care. And eventually people did take me seriously: I was accepted at Arizona State University and enrolled there as a philosophy student at age 18.

Once at Arizona State, I grew interested in the sciences. But, because I lacked a normal high school science background, I wasn't allowed to take introductory math and physics courses. So, I transferred to the University of Pennsylvania. Even there my interest in physics ran up against some fierce resistance, and I had to take my fight all the way to Penn's president before I was allowed to study what I wanted. A few years later, I graduated with a degree in physics...."

I know that the freedom and autonomy I have today is the result of years of very careful, deliberate work: work on myself, on the deepest parts of who I am; work on my character".[13] (fig. 5)

To illustrate gender sensitivity in Georgian media we studied online materials on gender stereotypes and sexism on the platform mediachecker.ge[14]. Gender stereotypes (of a diverse nature) are often encountered in Georgian TV media, particularly in entertainment shows. Sometimes happen that shows on TV are full of such stereotypes that we consider to be already forgotten and overcome. Even in that cases if the goal is to expose the existing negative stereotype and reveal its discriminative nature when the anchor/journalist does not confront the stereotype, the goal stays unfulfilled; as for the stereotype, it becomes reverberated once again, while article 33 of the law on broadcasting is violated. As our survey indicates, similar situation is not rare (even from women journalists).

As for the sexist stereotypes: Georgian media is not spared from the discrimination of women due to their sex; let us compare almost similar cases (local and global), how they were covered by the informational agency Georgian Business Consulting (GBC) and New York Times. "Men trust driving their busses even to women," an article with this headline was published by Georgian Business Consulting (10.04.2019). The article covered the employment of women in the position of bus drivers in Tbilisi Transport Company and notes that "the number of women bus drivers is growing and 25 women have undergone the relevant training session."

"Saudi Arabia Agrees to Let Women Drive",[15] New York Times announced in 2017 among the "turning moments" along with other 17 important events that happened that year.

"According to the decree of the King, Saudi Arabia women were granted the right to drive a car. The given law enables more women to work. In the meantime, women can resolve their financial and legal difficulties, as they will not have to hire a driver. Granting the right of driving to women is the part of the plan of the heir to the throne; his plan envisages the economic development of the country. The women will be able to receive a driving license from June 2018."[16]

In the first (Georgian) example, the indication of sex does not give any other additional information to readers. It is obvious that the most interesting in the second (American) example is a historical context, but what's the most notable, they provide a number of circumstances in a piece of relatively short information, to underline the importance of the event. Herewith, "New York Times" does not avoid expressing a subjective position under the headline: "Looking Forward"; but, in this case,

13 Ibid S. Fowler.
14 Media for media https://www.mediachecker.ge/
15 Tricia Tisak, "17 Events" Turning Points, NYT, 2017.
16 Ibid.

it is the position of fighting for rendering equal rights to men and women, media. Tricia Tisak, "17 Events" Turning Points, NYT, 2017

Modern social media is before a big challenge: as today, the discussion is basically on in social media, consequently changes the media language too and along with new communication symbols, the language of hatred finds its place, under the pretext of the right of opinion.

"Women in Georgian public life face a barrage of belittling rhetoric, sexist insults and outright threats," said UNDP Head Louisa Vinton. "Over time this abuse has shifted from traditional media onto social networks, so UNDP and its partners are supporting Georgian civil society organizations in creating tools to fight this disturbing and discriminatory trend".[17] (fig. 6)

With UNDP support, the NGO Union Sapari developed a set of indicators to classify types of gender-based abusive language and a systematic tool for the identification of specific violations. Based on this methodology, the Media Development Foundation (MDF) conducted a pre-election monitoring of social media, identifying over 200 cases where women politicians were targeted with sexist and abusive language. The results, which can be found on a dedicated online platform, include sexist insults, ageism, body-shaming and threats of sexual violence. The aim is to raise public awareness of the prevalence of abusive language against women and provide media and the public with tools to combat it.[18]

Georgian journalists, media holders or occupying high positions in media management people often resort to the language of hatred that has negative impact on the credibility and reputation of the media they are affiliated with. Using this language, particularly by women, undermines the idea of women's fight against "a woman". Attacking via moral criteria; using gender criteria for condemnation; making insulting/mocking remarks about appearance; humiliation on questioning someone's mental abilities, sexism/misogyny, ageism—these are the indicators of the language of hatred that in the online space can transform even into a cyber-crime.

Despite all these, the 21st century is called to be the century of women. This is the result of women's fight, among them of the women from media and via the assistance of media; these are the women who have fought and are still fighting for the introduction of better changes in the world, guided by the principle: "anything you can imagine you can create" (From the quotations of Oprah Winfrey)... This is the very essence of the Oprah Effect, which can be achieved and accustomed by any woman.

REFERENCES:

- Winter, D. January, "Women's March Swept the World", The New York Times, January 21, 2017
- Isaac M. Uber Founder Travis Kalanick Resigns as C.E.O. the New York Times, 21.06.2017
- https://www.nytimes.com/2017/06/21/technology/uber-ceo-travis-kalanick.html
- Kantor J. Twohey M. Harvey Weinstein Raid Off Sexual Harassment for Decades, The New York Times, 05.10.2017
- https://www.nytimes.com/2017/10/05/us/harvey-weinstein-harassment-allegations.html
- www.mediachecker.ge
- https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49586-sardzloebi-da-sadedamthiloebi-nanukas-shoushi
- Rakshit D. and Levtov R. based on the technical report prepared by Iago Katchkachishvili. Report on UNO study "Men, Women and Gender relations in Georgia: social awareness and attitude"- Tbilisi, 2020
- https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/gender-survey-report.html
- Real M. Super Media: A Cultural Studies Approach (Comunication and human Values), Sage Publications., 1989.
- Tisak T. "17 Events" Turning Points, NYT, License holder and publisher in Georgia, "Publishing House Sakhe(I)ebi", 2020.

17 https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2020/gender-sensitive-language.html

18 MDFhttps://genderbarometer.ge/

- Urchukhishvili G. „Georgian Indicators of Sexist Hate Speech - Report oF Working Focus Groups", Sapari, Tbilisi, 2020.
- https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/indicators-of-sexist-hate-speech.-Sapari.Final_.pdf
- Fowler S. „Before I Could Change the World, I Had to Change Myself" , Essay is included in the license project "The Big Ideas" of NYT. License holder and publisher in Georgia, "Publishing House Sakhe(I)ebi", 2020.
- Fowler S. blog
- https://www.susanjfowler.com/blog/2017/2/19/reflecting-on-one-very-strange-year-at-uber
- M. Kvartskhava, "Me Too - What changed in 2 years", "Radio Voice of America", 15.10.2018.
- https://www.amerikiskhma.com/a/me-too-anniversary/5133308.htm